



მიწაზე ზემოქმედების და მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების ტენდენციების მონიტორინგის ეროვნული საჭიროებების შესაფება

ანგარიში მომზადებულია პროექტის “გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ ფარგლებში



პროექტი - „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ - ინიცირებულ იქნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ. პროექტს ახორციელებს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას, ინფორმაციის გაცვლისა და მართვის ინოვაციური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობის გზით. გარემოსდაცვითი ინფორმაციის/ცოდნის მართვის სისტემა ხელს შეუწყობს, როგორც ეროვნული მიზნების მიღწევას, ისე საერთაშორისო (რიოს სამი კონვენცია) ვალდებულებების შესრულებას.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორის პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს გაერო-ს განვითარების პროგრამის შეხედულებათა ამსახველად.

ანგარიში მომზადებულია UNDP-ის პროექტის „ინფორმაციის მართვის ჰარმონიზაცია გარემოს შესახებ ცოდნისა და მონიტორინგის გაუმჯობესებისათვის საქართველოში“ ფარგლებში



თბილისი

2016

სარჩევი

1. შესავალი	4
2. საჭიროებები გაუდაზნოებასთან ბრძოლის კონვენციის და მიწის დეგრადაციის მონიტორინგის განხორციელებისთვის.....	5
3. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების საჭიროება.....	6
4. მიწის მართვის ინსტიტუციონალურ სტრუქტურებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებისა და უფლება-მოვალეობების განაწილების საჭიროება.....	13
5. მიწის დაცვის მონიტორინგის სისტემის საჭიროება.....	15
6. მიწის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის საჭიროება	18
7. მიწათმოსარგებლების ცნობიერების დონის ამაღლების საჭიროება	21
8. დასკვა და რეკომენდაციები	22
9. გამოყენებული ლიტერატურა.....	23



1. შესავალი

საქართველოს მთლიანი ტერიტორიის (6949.4 ათასი ჰა), დაახლოებით, 43.4 % ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად, რომლებიც ასევე მოიცავს საძოვრებს და მდელოებს. დანარჩენი ფართობის 43 % დაფარულია ტყის საფარით. ქვეყნის ზედაპირის 13.6% უკავია წყალსაცავებს, ქალაქებს, სხვა დასახლებულ პუნქტებსა და საავტომობილო გზის საფარს. ამ მრავალფეროვნების გამო და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო შავ ზღვას ესაზღვრება, საქართველოში ეკოლოგიური და კლიმატური ზონების დიდი ნაირსახეობაა, თუმცა მრავალფეროვნებას თან ახლავს სირთულეებიც, რაც გულისხმობს ჰაერის ტემპერატურის მკვეთრ ცვალებადობას, აქტიურ ეროზიულ ცვლილებებს და ზოგიერთ რეგიონში უხვ ნალექიანობას, ასევე გაუდაბნობასა და ნიადაგის დეგრადაციის სხვა ტიპებს:ა) ტექნოგენური დეგრადაცია; ეროზია; დამეწყვრა; ღვარცოფების წარმოშობა; დამლაშება; გაბიცობება; დაჭაობება; აგროგამოფიტვა; გაეწერება (გამჟავიანება); დაქვიანება; საკვები ელემენტების შემცველობის დაცემა. ნიადაგის (მიწის) დეგრადაცია კი, თავის მხრივ, იწვევს ისეთ გლობალურ პრობლემას, როგორცაა სიღარიბე. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემა ქვეყნის დღის წესრიგში ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას იკავებს.



1999 წლიდან საქართველო წარმოადგენს გაეროს გაუდაზნოებასთან ბრძოლის კონვენციის მხარეს.

2008 წელს კონვენციის მხარეთა კონფერენციამ შეიმუშავა კონვენციის განხორციელების 10 წლიანი (2008-2018) სტრატეგია, რომელიც გახდა მოქმედებათა ახალი ეროვნული პროგრამების საფუძველი. აღნიშნული ეროვნული პროგრამების მიზნებს წარმოადგენს დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოების მიერ მიწის რესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენების აუცილებლობის გაცნობიერება, მიწის რესურსების მდგრადი მართვის მეთოდების ინტეგრირება და ა.შ.

ეროვნული პროგრამის ნაწილია პროექტი „ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში გლობალური გარემოსდაცვითი გაუმჯობესებული ცოდნისა და მონიტორინგისთვის“, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკის და ინოვაციური მიდგომების დანერგვა, მათზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და შესაბამისად, რიოს კონვეციების მოთხოვნების დაკმაყოფილება და მხარდაჭერა ეროვნული განვითარების პოლიტიკისა და პროგრამების საშუალებით.

ეს საბოლოო დოკუმენტი, სახელწოდებით, „საჭიროებების შეფასება გაეროს გაუდაზნოებასთან ბრძოლის კონვენციის მონიტორინგის განხორციელებისთვის“, მომზადდა პროექტ „ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში გლობალური გარემოსდაცვითი გაუმჯობესებული ცოდნისა და მონიტორინგისთვის“ ფარგლებში. დოკუმენტის მომზადებისთვის შეფასდა საქართველოს მიწის მდგომარეობის შესახებ არსებული მასალა და კვლევები, მოხდა საკანონმდებლო ბაზის ანალიზი, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან.

2. საჭიროებები გაუდაზნოებასთან ბრძოლის კონვენციის და მიწის დეგრადაციის მონიტორინგის განხორციელებისთვის

კვლევის პროცესში დოკუმენტების შეფასებისა და ანალიზის, სამუშაო შეხვედრებისა და მსჯელობის, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების, მიწათმოსარგებლებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა საჭიროებების ის ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია გაუდაზნოებასთან ბრძოლის კონვენციისა და მიწის მონიტორინგის განხორციელებისთვის. აღნიშნული საჭიროებებიდან გამოიყო შემდეგი პრიორიტეტები:

- საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების საჭიროება;

- მიწის მართვის ინსტიტუციონალურ სტრუქტურებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებისა და უფლება-მოვალეობების განაწილების საჭიროება;
- მიწის დაცვის მონიტორინგის სისტემის საჭიროება;
- მიწის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის საჭიროება;
- მიწათმოსარგებლეების ცნობიერების დონის ამაღლების საჭიროება;

3. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების საჭიროება

გაუდაბნობასთან ბრძოლის, მიწის დეგრადაციის, ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების მიზნით უპირველეს ყოვლისა საჭიროა საკანონმდებლო ბაზის დახვეწა.

საქართველოს მოქმედი კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“, რომელიც შემუშავებულია 1994 წელს და მოითხოვს განახლებას. აღნიშნული კანონი სრულად ასახავს ამ კუთხით არსებულ პრობლემებს, ასევე, მოიცავს იმ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა ნიადაგის დაცვისა და შენარჩუნებისთვის, მაგრამ კანონი ვერ განსაზღვრავს აღდგენის ღონისძიებისთვის საჭირო პერიოდს და იმ სახელმწიფო უწყებებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან და ევალებათ ნიადაგის მონიტორინგის დაცვის კონტროლი და პრევენციის ზომები.

მუხლი 3. ნიადაგის დაცვის ღონისძიებები და საშუალებები, ეს მუხლი ითვალისწინებს ნიადაგის დეგრადაციისგან დაცვით ღონისძიებებს, თუმცა ღონისძიების ჩამტარებული ორგანიზაცია და დამცავი ღონისძიებების პერიოდულობა არა მითითებული;

ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონე რესურსული პოტენციალის რაოდენობრივ-ხარისხობრივ მაჩვენებლებზეა დამოკიდებული, შესაბამისად მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსის მიწის აღრიცხვის და მესაკუთრეობის ფორმის ცოდნა, მისი განკარგვის, დაგეგმვის, დაცვისა და გაუმჯობესების პროცესის წარმოებაში დაგვეხმარება. ამ პროცესს პასუხობს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“ 3 მუხლის „ა“ პუნქტი: ა) ნიადაგის პასპორტიზაცია შესაბამისი პერიოდულობის დაცვით და ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვა; სამწუხაროდ დღეს ქვეყანას სრულად აღრიცხული მიწის რესურსი არა აქვს, რაც საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პრეროგატივა და ის საქართველოში უძრავი ქონების საკუთრების რეგისტრაციას 2018 წელს დაასრულებს და ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, რომელიც 2014 წელს დაიწყო სასოფლო-სამეურნეო მიწების აღწერა, რომელიც დამუშავების პროცესშია და 2016 წლის აპრილში დასრულდება. ქვეყანაში აღნიშნული ღონისძიებების განახლება



სისტემატიურ ხასიათს უნდა ატარებდეს, რაც მოითხოვს კვალიფიციურ კადრს და საშტატო ერთეულის გაზრდას ამ ორგანიზაციებში.

ასევე მნიშვნელოვანია მიწის სრული კვლევა მისი ხარისხისა და პრობლემების დასადგენად. კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“ „ბ“ პუნქტი: ბ) ნიადაგის გამოფიტვის მიზეზების, სამელიორაციო, მიკრობიოლოგიური, აგროქიმიური და გეობოტანიკური კვლევა, ბონიტირება და კადასტრის პერიოდულად შედგენა; სამწუხაროდ აღნიშნული საკითხიც წლების განმავლობაში შეუსწავლელი იყო, რის გამოც საქართველოს ნიადაგის შესახებ არ გააჩნია ინფორმაცია და შესაბამისად ვერ ხორციელდებოდა გაანალიზება ნიადაგისთვის საჭირო ღონისძიების ჩასატარებლად. 2000-2007 წლებში KfW ბანკების ჯგუფის (გერმანია) და საქართველოს მთავრობის ერთობლივი თანადაფინანსებით საქართველოში ჩატარდა კადასტრის და მიწის რეგისტრაციის პროექტი, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაწილეობით ხორციელდება და აღნიშნული მასალები უახლოეს პერიოდში მომზადდება სრულად. მიწის კადასტრი ასევე მოითხოვს მუდმივ განახლებას და სისტემატიურ კვლევებს. შესაბამისად ამ შემთხვევაშიც კვალიფიციური კადრის და საშტატო ერთეულის გაზრდის საჭიროებასთან ერთად აუცილებელი ხდება ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებაზე, ასევე სამეცნიერო კვლევითი ჯგუფების მობილიზება და ჩართულობა.

საქართველოს ძირითადი ტერიტორია უსწორმასწორო რელიეფზეა განაწილებული, შესაბამისად მაღალია ნიადაგის ეროზიის რისკი, ასევე რისკებს ზრდის უხვი ნალექები, ქარი, ანთროპოგენული ფაქტორები და არასწორი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“ „გ“ პუნქტი: გ) ეროზიისაგან ნიადაგის დაცვისათვის ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკური, სატყეო-სამელიორაციო, ჰიდროტექნიკური, ნიადაგდაცვითი ღონისძიებების კომპლექსური შერჩევა; ქარსაფარი ზოლების შემცირება, ასევე, დეგრადაციის პროცესის გამომწვევი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. აუცილებელია, განახლდეს არსებული ქარსაფარი ზოლები და დაიგეგმოს, დაპროექტდეს ახალი ქარსაფარი ზოლები, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებში ჩართული უნდა იყოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, გარემოს ეროვნული სააგენტო, სატყეო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა - გაუმჯობესების მიზნით ჩასატარებელი ღონისძიებები ფაქტობრივად შეჩერებული, ამავე დროულად აქტიურ ფაზაში გადადის მეორადი დამლაშება, დაჭაობება კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“ „დ“ პუნქტი: დ) დამლაშების, დაჭაობების, ასევე ნიადაგის გამჟავების თავიდან აცილების მიზნით



გარემოსდაცვითი
ინფორმაციისა და განათლების
ცენტრი



საქართველოს გარემოსა
და ბუნებრივი რესურსების
ფედერალური ცენტრი



აგროსამელორაციო და აგროტექნიკურ ღონისძიებათა სწორი შერჩევა; აღნიშნულ ღონისძიებაში იგულისხმება ნიადაგის მელორაცია: ირიგაცია, დაშრობა, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები, ქიმიური მელორაცია და სხვა ისეთი ღონისძიებები რომელიც იმოქმედებს ნიადაგის ნაყოფიერებასა და გაუმჯობესებაზე. აღნიშნული საქმიანობას აწარმოებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სამეცნიერო წრეებთან, ადგილობრივ თვითმმართველობასა და გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად.

ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვნებას ასევე ახლავს სტიქიური მოვლენების აქტივობაც, ეს ფაქტორი დიდი საფრთხის წინაშე აყენებს როგორც დასახლებულ ასევე სასოფლო-სამეურნეო თუ ტყით დაფარულ ტერიტორიებს. მისი გავლენა მიწის რესურსზე და ნიადაგის საფარზე მაღალია, „ნიადაგის დაცვის შესახებ“ „ე“ პუნქტი: ე) ნიადაგის რესურსების დაცვა სტიქიური მოვლენებისაგან (წყალდიდობა, წყალმოვარდნა, ღვარცოფი, ზვავი, მეწყერი) სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში; განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ ადრეული შეტყობინების სისტემის სრულყოფასა და მოდერნიზაციას, რითაც შერბილდება გაუდაზნოების პროცესი და მისი თანმდევი უარყოფითი მოვლენები, ასევე განხორციელდეს ნაპირსამაგრი სამუშაოები, რათა მოხდეს ნიადაგის წყლისმიერი ეროზიის შეჩერება, წყალმოვარდნებისგან თავდაცვა. უნდა შეიქმნას მდინარეთა სანაპირო ზონის ავარიული ობიექტების და ზვავსაშიში ზონების მონაცემთა ბაზა, ამ ღონისძიებებს ახორციელებდეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, გარემოს ეროვნული სააგენტო, ასევე სამეცნიერო დაწესებულებები, რის შემდგომც შესაქმნელია სამოქმედო გეგმები და დაცვითი ნაგებობები, რომელსაც ანხორციელებს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ყველაფერთან ერთად ქვეყანაში, შეინიშნება სამოვრების დეგრადაცია, ბალახის ხარისხის გაუარესება და კალორიული, საკვებად ვარგისი სახეობების ჩანაცვლება ნაკლებკალორიული, ნაკლებვარგისი ფორმაციებით. კლიმატის ცვლილებასთან ერთად ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ანთროპოგენული ფაქტორიცაა, კერძოდ: ინტესიური მოვება და სეზონურობის არდაცვა; აღურიცხავი პირუტყვი; ბალახის ვეგეტაციის სრულ ჩამოყალიბებამდე გამოყენება; ჰერბიციდების შეტანა; ქარსაფარი ზოლების გაჩეხვა და ამავდროულად, წყლის უკმარისობა ან ზოგიერთ ზონებში სწრაფი მოდინება, რაც ნიადაგის გადარეცხვას და დამლაშებას იწვევს; ფიტომასისა და მისი პროდუქტიულობის შემცირება, რაც იწვევს ტერიტორიის ტევადობის კლებას და სამომავლოდ რესურსის კლების ტენდენციას; „ნიადაგის დაცვის შესახებ“ „ვ“ პუნქტი:



ვ) სათიბ-სამოვრების ნიადაგის დაცვის, მათი ნაყოფიერების ამაღლებისა და მცენარეული საფარის გაუმჯობესების კულტურულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება; ეროზიული პროცესების თავიდან ასაცილებლად ნახირისა და ფარის ვერტიკალური მოვების წესის დაცვა და მაღალმთიან სამოვრებზე დადგენილ ნორმაზე გადაჭარბებული რაოდენობით ნახირისა და ფარის მოვების აკრძალვა, სამოვართა მორიგეობის, ე.წ. როტაციის დამკვიდრება; პრობლემების მოსაგვარებლად ქვეყანას უნდა გააჩნდეს სამოვრების მართვის გეგმა, მომზადდეს სპეციალური საკანონმდებლო აქტები გადასარეკ ტრასებთან და სამოვარ-სათიბებთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტაცია აუცილებლად უნდა მოიცავდეს მონაცვლეობითი მოვების მექანიზმს, პირუტყვის კვოტირებას, რაც ასევე შეამცირებს ნიადაგის დატვირთვას. აღნიშნულ ქმედებაში მონაწილეობს ადგილობრივი თვითმმართველობა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საჯარო რეესტრი და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

ასევე ნიადაგის დეგრადაციის ხელშემწყობი მიზეზი გახლავთ წიაღისეულის მოპოვება როგორც ღია კარიერული წესით, ასევე მაღაროების საშუალებით, საქართველოში ხშირად შევხვდებით ძველ მიტოვებულ კარიერებს თუ ჩაქცეულ მაღაროებს რომლის ირგვლივ განვითარებულია მეწყერები და მცირე ტბები და ახალი მოქმედი კარიერები რომელიც ამჟამად არის კონტროლზე აყვანილი „ნიადაგის დაცვის შესახებ“ „ვ“ პუნქტი: ზ) სასარგებლო წიაღისეულის და საშენი მასალების კარიერული წესით მოპოვების შედეგად დაზიანებული ნიადაგის რეკულტივიცია და მაღალმთიან რეგიონებში სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობით გამოწვეული ნიადაგისა და წყლის გაუვარდისების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; იქმნება საჭიროება აღნიშნული ძველი და ახალი კარიერების ინვენტარიზაციის და ზარალის გაანგარიშება, ამ ღონისძიებებში ჩართული უნდა იყოს საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, გარემოს ეროვნული სააგენტო, სამეცნიერო ჯგუფები, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ასევე საშიშ და მნიშვნელოვნად საყურადღებოა ნიადაგების დაბინძურება რადიონუკლიდებით, ტოქსიკური ნივთიერებებით, სახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, ამ მხრივ წარმოქმნილია ყველა დასახლებულ პუნქტთან სტიქიური ნაგავსაყრელები „ნიადაგის დაცვის შესახებ“ „თ“ პუნქტი: თ) რადიონუკლიდებით, ტოქსიკური ნივთიერებებით, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენებით ნიადაგის დაბინძურებისა და დანაგვიანებისაგან დაცვა; პირველ რიგში საჭიროება იქმნება ინვენტარიზაციის, ნარჩენების მოცულობის, ნარჩენების განთავსების ფართობის,



შემცველობის და დაბინძურების ხარისხის. საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, გარემოს ეროვნული სააგენტო, სამეცნიერო ჯგუფები, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების სააგენტო, ადგილობრივი თვითმმართველობები.

საქართველოს სახელმწიფოში არსებობს დაცული ტერიტორიები, რომლებიც შექმნილია სხვადასხვა ბუნებრივი ღირებულების თუ სახეობების დაცვის და კონსერვაციის მიზნით, სამწუხაროდ დაცული ზონა ნიადაგის სახეობის, ტიპის თავისებურებების და ხასიათის გამო საქართველოში არ შექმნილა, რომელიც ამავე მუხლის „ი“ პუნქტში გათვალისწინებულია:

ი) ნიადაგის ეტალონური ტიპების შენარჩუნება და აღკვეთილების მოწყობით მონიტორინგის ორგანიზაცია; საქართველოში ნიადაგის მრავალფეროვნება თავის მხრივ საინტერესოს ხდის აღნიშნულ საკითხს, საჭიროება იქმნება შეიქმნას კომისია, რომელიც იმსჯელებს ამ საკითხზე უფრო მეტიც თამამად შეიძლება ითქვას საქართველოს გარკვეულ უბნებში შესაძლებელი იქნება სამაგალითო უსაფრთხოების ნორმების დაცვით ღია ჭრილების დატოვება, რაც ერთგვარ განათლების სფეროს და ტურიზმს წაახალისებს ამ დარგში.

სასოფლო სამეურნეო სავარგულები იმართება დაუგეგმავად და ქაოსურად, არ ხდება სივრცის დაგეგმვა და კულტურების შერჩევა. კ) ნიადაგურ-კლიმატური პირობების შესაბამის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა განლაგების სწორი სტრუქტურა; პროცეს უნდა არეგულირებდეს მთლიანად საქართველოს სოფლისმეურნეობის სამინისტრო.

გაუდაზნოების პროცესის და ნიადაგის დეგრადაციის შერბილებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მიწის სწორ დამუშავებას. უნდა მოხდეს მიწის მოხვნის სწორი მეთოდების დანერგვა, ნიადაგის ფიზიკური დამუშავება ნაცვლად შხამ-ქიმიკატებისა, მცენარეული კულტურების სწორი შერჩევა, ასევე, მიწათმოქმედების ისეთი მავნე ტრადიციების აღკვეთა, როგორებიცაა, მაგალითად, ყანის ნაწვერალის დაწვა, ხელოვნური მულჩირება და ა.შ. მთავარ პრობლემას კი წარმოადგენს ნიადაგსარგებლობის სწორი მეთოდების დანერგვა მიწათმოსარგებლებებში ლ) ნიადაგის დამუშავების პროგრესიული აგროტექნოლოგიებისა და ეკოლოგიურად სრულყოფილი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების, რწყვის, ნიადაგის მელიორაციის ეფექტიანი მეთოდებისა და ჰუმუსის ბალანსის რეგულირებისათვის თესლბუნვის დანერგვა, ორგანული და მინერალური სასუქების, მელიორანტების გამოყენება. აღნიშნულ ქმედებებს ახორციელებს სოფლისმეურნეობის სამინისტრო.

მუხლი 4. ნიადაგის დაცვის მიზნით დაწესებული აკრძალვები, აღნიშნულ მუხლში ჩანს თუ რა ღონისძიებები არ შეიძლება განვახორციელოთ მიწის მოხმარებისას, ხოლო ამ ღონისძიებებს ვინ აკონტროლებს ან და რა სანქციები მოყვება არ ჩანს.

მუხლი 5. ნიადაგის დაცვის სფეროში მართვის ორგანოების ამოცანები, რომელშიც თვალნათლივ იკითხება პრობლემები და საჭირო ღონისძიებების გატარება, აღნიშნულ მუხლში არა გამოყოფილი მართვის ორგანოები და ფუნქციების განაწილება.

მუხლი 8. ნიადაგის დაცვის კონტროლი, სადაც მითითებულია, რომ „ნიადაგის დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულებას აკონტროლებენ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში“. არაა მითითებული „შესაბამისი სახელმწიფო უწყებებში“ კონკრეტულად რომელი უწყებები მოიაზრება, ვინ უნდა დაადგინოს, რომ კონკრეტული საქმიანობა არღვევს კანონს და ა.შ.

აღნიშნული კანონი შეიქმნა ქვეყნის ჩამოყალიბების პერიოდში, რომელიც არეგულირებს მიწათსარგებლობის და დაცვით ღონისძიებებს, იმ პერიოდისთვის იყო პირველი მარეგულირებელი დოკუმენტი მიწის და ნიადაგ დაცვით სფეროში, მის შემდეგ შეიცვალა მიდგომები და ხედვები, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დღესაც არის საჭიროება ამ კანონის მოქმედების და ის უნდა წარმოადგენდეს ფუნდამენტს ნიადაგდაცვით ქმედებების განხორციელებისთვის, რის გამოც დაუყონებლივ მოსამზადებელია ცვლილებათა პაკეტი, რომელიც შევა საქართველოს კანონში „ნიადაგის დაცვის შესახებ“ და ამ კანონით მიღებული ნორმატიული აქტები, ან შემუშავდეს და მომზადდეს თავიდან, რომელიც აღმოფხვრის ზემოთ აღნიშნულ არასრულყოფილებებსა და ხარვეზებს.

სამუშაო შეხვედრებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული კანონი დამუშავების პროცესშია და მას ასრულებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით. აღნიშნული კანონის შემუშავებასა და მომზადების პროცესში ასევე ჩართული უნდა იყვნენ სხვა სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. კანონით უნდა განისაზღვროს ყველა სახელმწიფო უწყების ფუნქციონალური დებულებები ნიადაგის მონიტორინგის, მართვასა და ნიადაგის (მიწის) დაცვის, კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ღონისძიებების გასატარებლად. ამასთანავე უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ნიადაგი ბუნებრივი რესურსია, შესაბამისად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ამ შემთხვევაში, წარმოადგენს მარეგულირებელ ორგანოს ნიადაგის დაცვის კუთხით.



გაუდაზნობასთან ბრძოლის, მიწის დეგრადაციის, ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების მიზნით, ასევე შესაფასებელია და გადასახედა რიგი საკითხები:

მიწის დეგრადაციის შერბილებისა და გაუდაზნოების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს მელიორაცია და ირიგაცია. 2000 წლიდან საქართველოში მოქმედებდა საქართველოს კანონი „მიწების მელიორაციის შესახებ“, თუმცა აღნიშნული კანონი 2011 წლის 4 თებერვალს გამოცხადდა ძალადაკარგულად. აღნიშნულ საკითხს ითვალისწინებს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“. ქვეყანას ჯერ არ გააჩნია ახალი კანონი მიწის მელიორაციისა და ირიგაციის შესახებ, თუმცა როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა შეხვედრებზე განმარტა, კანონი შემუშავების პროცესშია.

მიწის ეროზიის საწინააღმდეგო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ქარსაფარი ზოლების არსებობა, რომელიც დღეს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ამორტიზირებულია ან მთლიანად განადგურებული, განსაკუთრებით ეს კარგად შეინიშნება გაუდაზნოების რისკის ქვეშ მყოფ და სენსიტიურ უბნებში, შესაბამისად დროულად მოსამზადებელია და დასახვეწია საკანონმდებლო აქტები ქარსაფარი ზოლებთან დაკავშირებით. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტო მუშაობს აღნიშნული საკითხზე და ამუშავებს ახალ კანონს. აღნიშნულ კანონის შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

შესაქმნელია და ზოგ შემთხვევაში სრულად დასახვეწია კანონმდებლობა სახიფათო ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმ ნივთიერებებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ (პესტიციდები, გერბიციდები). აღნიშნულ საკითხს ითვალისწინებს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“; ტექნიკური რეგლამენტის - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N443 დადგენილება „საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ და ნარჩენების მართვის კოდექსი, მოსამზადებელია ამ მიმართულებით მარეგულირებელი აქტები ამ ნივთიერების მოხმარებასა და დასაწყობებასთან დაკავშირებით.

გასათვალისწინებელია გაუდაზნოების კონვენციის მოთხოვნები ტყის კანონმდებლობაში და განსაკუთრებით ასაკრძალია ტყით სარგებლობა, სადაც ტერიტორიები მოწყვლადია გაუდაზნობასთან და მიწის დეგრადაციასთან მიმართებით.



გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურაში განსაკუთრებულად უნდა იყოს გამოყოფილი ნიადაგთან და მიწასთან დაკავშირებული საკითხები მოსამზადებელი სამუშაოების დროს, საქმიანობის განხორციელებისა და ოპერირების დროს (განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, დასაწყობებისა და შემდგომი განკარგვის საკითხს).

მოსამზადებელია ცვლილებები და დამატებები ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციების განსასაზღვრად მიწის მართვისა და ნიადაგდაცვით ღონისძიებებთან დაკავშირებით.

ასევე შესაფასებელია და შესამუშავებელია სხვადასხვა საკანონმდებლო თუ ნორმატიული აქტების ჰარმონიზაცია. მაგალითისთვის: საქართველოს ტყის კოდექსი 1999 წლის 22 ივნისი. N 2124 - III. მუხლი N24. 2 ა) 30 გრადუსიდან 35 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე ტყითსარგებლობის აუცილებელი მოთხოვნების დადგენას; აღნიშნული საკითხი რისკის ქვეშ აყენებს და ზრდის ეროზიის განვითარებას აღნიშნულ დახრილობებზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს „ნიადაგის დაცვის შესახებ“.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი რომ საქართველოს მიწის ფონდს არა აქვს მიწების კატეგორიზაცია და ის მოიცავს არასასოფლო და სასოფლო კატეგორიის მიწებს, რაც თავის მხრივ ართულებს მიწის მართვის სფეროების განაწილებას და მართვის ორგანოების გამოკვეთას და ფუნქციების გამიჯვნას.

ზემოაღნიშნული საკითხებს ასევე არეგულირებს: კანონები, საკანონმდებლო აქტები, დადგენილებები და სხვადასხვა ნორმატიული აქტები, რომელიც იწვევს დუბლირებას და ქაოტურობას, შესაბამისად იქმნება საჭიროება დაიწეროს ახალი „კოდექსი მიწის შესახებ“, რომელიც უზრუნველყოფს და მოაწესრიგებს რიგ ჩამოთვლილ პრობლემებს, ასევე შექმნის ერთ რეალურ საკანონმდებლო სივრცეს მიწის მართვით სფეროში.

4. მიწის მართვის ინსტიტუციონალურ სტრუქტურებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებისა და უფლება-მოვალეობების განაწილების საჭიროება

2004 წელს ლიკვიდირებული იქნა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მისი ფუნქცია გადანაწილდა: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს (საჯარო რეესტრის) სამსახურს შორის. რის გამოც საჭიროება ამ სამი ორგანული სტრუქტურის მჭიდრო კოორდინაცია და შეთანხმებული მოქმედება.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საქმიანობის სფერო და ამოცანები გარემოს დაცვის სფეროში (მათ შორის გაუდაბნოების/მიწის



დეგრადაციის საკითხებთან მიმართებაში) განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 აპრილის №98 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით, რომელიც თავის მხრივ, ეფუძნება 2013 წლის დასაწყისში მთავრობის ინსტიტუციონალური რეფორმის განხორციელების მიზნით მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს, ძირითადად - „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. აღნიშნული კანონით განისაზღვრა ის ფუნქციები, რომლებიც ამ კანონის მიღებამდე არსებული საქართველოს გარემოსა დაცვისა და ენერგეტიკის სამინისტროს კომპეტენციების სფეროს განეკუთვნებოდა, ხოლო კანონის მიღების შემდგომ კი გადანაწილდა ერთი მხრივ, ახლადფორმირებულ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და სოფლის მეურნეობის და იუსტიციის სამინისტროებს შორის, მეორე მხრივ, სხვა უწყებებს (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო) შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს არასამთავრობო ორგანიზაციების როლი, მათი მონაწილეობა და ჩართულობა. გამოყენებულ იქნას მათ მიერ წარმოებული კვლევები განხორციელებული პროექტების ფარგლებში და ასევე მათი მთავარი დანიშნულება, რაც გამოიხატება საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან ურთიერთობაში.

ასევე მნიშვნელოვანია სამეცნიერო ჯგუფების: თსუ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი და აგრალური უნივერსიტეტის მ. საბაშვილის სახელობის ნიადაგთმცოდნეობის ინსტიტუტის აქტიური ჩართულობა, მათი კვლევების, ნაშრომებისა და გამოცდილების გამოყენება. მოგეხსენებათ აღნიშნული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები წლების მანძილზე განიცდიდნენ დეგრადაციას და შესაბამისად დღეს იმყოფებიან განვითარების ფაზაში, მათი ჩართულობა გაუდაბნოებისა და მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მნიშვნელოვანია, შესაბამისად სამეცნიერო პოტენციალის გაზრდა და აუცილებელია დადგეს დღის წესრიგში ამ ინსტიტუტების ტექნიკური თუ მატერიალური მხარდაჭერა, როგორც სახელმწიფოს ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, ასევე სავსე სამეცნიერო ლაბორატორიების მოწყობის სენსიტიურ უბნებში, მათი კადრების გაზრდის და პროფესიონალური მეცნიერების ჩამოყალიბებისთვის გაცვლითი პროგრამების შემუშავება.

ამავდროულად გაუდაბნოების და მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და შერბილების ერთ-ერთი პრიორიტეტული ქმედება სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები, საჭირო რესურსების



მობილიზება და ლიბერალური საგადასახადო გარემოს შექმნა, მიწის მართვის პოლიტიკის შემუშავება, დარგში ინვესტიციების მოზიდვა, ასევე, ახალი ტექნოლოგიებისა და საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება და ბიოუსაფრთხოების უზრუნველყოფა, დარგში ცოდნის დონისა და მიწათმოსარგებლეთა სამეწარმეო უნარების ამაღლება, მიწის რესურსების აღრიცხვისა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა, მუნიციპალური მასშტაბით დარგში მიმდინარე რეფორმებსა და სიახლეებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონის მდგრად განვითარებას და სიღარიბის დაძლევას. აღნიშნული პროექტები უნდა განიხილებოდეს და მუშავდებოდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსის დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (საჯარო რეესტრი), ადგილობრივ თვითმმართველობასა და მუნიციპალიტეტს შორის. თუმცა ჩამოთვლილ სტრუქტურებს შორის კოორდინაცია არსებობს, მაგრამ აღნიშნული კოორდინაციის სისუსტეზე მეტყველებს ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების სიმწვავე. მიწის მართვის ინსტიტუციონალურ სტრუქტურებს შორის კოორდინაციის გაძლიერებისა და სრულყოფის მიზნით საჭიროა ინტერსექტორალური საკოორდინაციო ჯგუფების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს პრობლემების მოგვარებას, გამჭვირვალობას, თანამშრომლობის გაძლიერებას და არ მოხდება ფუნქციების გადაფარვა;

5. მიწის დაცვის მონიტორინგის სისტემის საჭიროება

მიწის დეგრადაციის შერბილებასა და გაუდაზნოების წინააღმდეგ ბრძოლაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მიწის მართვისა და დაცვის მონიტორინგი, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის სისტემატურ შეკრებას, ანალიზს და მიღებული ინფორმაციის შესაბამისად გამოყენებას, ეს ყველაფერი კი საბოლოოდ აისახება ვითარების გაუმჯობესებაში. დღეს ეს სისტემა მთლიანად მოშლილია და არ მიმდინარეობს ნიადაგის მონიტორინგი.

გაუდაზნოების/მიწის დეგრადაციის საკითხებთან დაკავშირებული გარემოსა და ბუნებრივი რესურსის დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფია მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახური.



ამავე სფეროსთან უშუალოდ დაკავშირებულია აგრეთვე გარემოსა და ბუნებრივი რესურსის დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გარემოს ეროვნული სააგენტო.

მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახური

მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

- მიწის რესურსებისა და წიაღის მდგრადი მართვის და მიზნობრივი გამოყენების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;
- გაუდაბნოების, მიწის დეგრადაციის პროცესის შერბილების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების კოორდინაცია;
- საშიში ნივთიერებებითა და ნარჩენებით დაბინძურებული მიწების მონაცემთა ბაზის შექმნა;
- ნიადაგის დეგრადაციისა და დაბინძურების შეფასების სისტემების ჩამოყალიბება, კომპეტენციის ფარგლებში ნიადაგების ნაყოფიერების მდგომარეობაზე დაკვირვებისა და სათანადო გამოკვლევების საფუძველზე ყოველწლიური და პერსპექტიული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა;

სამსახურში დასაქმებულია 4 ადამიანი.

იმისათვის, რომ სამსახურმა სრულფასოვნად შეასრულოს თავისი ფუნქციონირება მოვალეობები საჭიროა შტატების რიცხოვნობის ზრდა.

გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის საკითხებთან ფუნქციონალური მიმართება გააჩნია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, რომლის მიზნები და ამოცანები, სხვასთან ერთად, მოიცავს:

- ბუნებრივი და ანთროპოგენური კატასტროფების, მათ შორის გაუდაბნოების და მიწის დეგრადაციის პროცესების შერბილების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების შემუშავებას და მათი განხორციელების კოორდინაციას.
- კომპეტენციის ფარგლებში ნიადაგის ეროზია-დეგრადაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგს.



სააგენტოს ფუნქციონალური დანიშნულების სტრუქტურული ქვედანაყოფებია: ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი; გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტი; გეოლოგიური საშიშროების მართვის დეპარტამენტი და გარემოსდაცვითი ინფორმაციის სამსახური.

მთლიანობაში, გარემოს ეროვნულ სააგენტოს არ გააჩნია პირდაპირი კანონისმიერი ვალდებულება და ფინანსური მხარდაჭერა აწარმოოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის სისტემური მონიტორინგი ან/და სისტემური დაკვირვებები და ანალიზი. აღნიშნულ სფეროებში სააგენტოს დებულებით უნდა განესაზღვროს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის სისტემური მონიტორინგის წარმოება. გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტში უნდა შეიქმნას მიწის მონიტორინგის სამსახური, რომელიც უნდა აღიჭურვოს შესაბამისი კვალიფიცირებული კადრებით და აპარტურით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ გამოყოს ყოველწლიური ბიუჯეტი დეგრადაციის მონიტორინგის წარმოების მიზნით.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №485 2012 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის საქმიანობა მიწის დაცვის სფეროში ფუნქციები განესაზღვრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს **მელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტს**.

დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

- მელიორაციის სფეროს განვითარების ერთიანი პოლიტიკის შემუშავება;
- მიწის რაციონალურად გამოყენების, ნიადაგის კონსერვაციის, ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების სფეროში ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრისა და ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობა;
- სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიხედვით მიწათსარგებლობისა და ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების (ნიადაგის ატლასი) ერთიანი გეოინფორმაციული სისტემის შექმნაში მონაწილეობის მიღება;
- ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების, ნაყოფიერების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნობრივი პროგრამების მომზადების ორგანიზება;
- მიწის გამოყენებასთან დაკავშირებით მომზადებული პროექტების განხილვა.

განსაზღვრული დავალების ქვეყნის მასშტაბით გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის და ნიადაგის კონსერვაცია აღდგენა გაუმჯობესების სფეროში სისტემური მონიტორინგის



წარმოებისთვის უნდა აღიჭურვოს შესაბამისი აპარტურით და კვალიფიცირებული საჭირო კადრის მოზიდვით, ასევე განახორციელოს დარგში არსებული მცირერიცხოვანი სპეციალისტების მოძიება, გადამზადება და მათი გამოცდილების გამოყენება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ გამოყოს ყოველწლიური ბიუჯეტი ნიადაგის დეგრადაციის, ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მონიტორინგის წარმოების მიზნით.

6. მიწის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის საჭიროება

გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს მიწის შესახებ მონაცემთა ერთიანი განახლებული, დაზუსტებული ბაზა და გართულებულია ისედაც მწირ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, საჭიროა ერთიანი საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბება.

აღნიშნული საინფორმაციო სისტემა უნდა იყოს ელექტრონული და მასზე ნებისმიერ მოქალაქეს ინტერნეტის მეშვეობით უნდა მიუწვდებოდეს ხელი. მიწის შესახებ ერთიანი ბაზა უნდა მოიცავდეს საქართველოში სხვადასხვა ორგანიზაციების თუ ინდივიდუალური მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევებსა და ანგარიშებს, ქართული კანონებსა და რეგულაციებს, საერთაშორისო კონვენციებსა და სიახლეებს, მათ შორის:

- გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოში საძოვრების მდგრადი მართვა ადგილობრივი თემებისათვის კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის სარგებლისა და დივიდენდების დემოსტრირების მიზნით“ მიზანს წარმოადგენს საქართველოში საძოვრების მდგრადი მართვის პრაქტიკის ჩამოყალიბება ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მაგალითზე და საძოვრებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. განხორციელდა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საძოვრების ნახშირბადის მარაგების ინვენტარიზაცია, ნიადაგის ნაყოფიერების ზოგადი შეფასება და წყლის ბალანსის მოდელირება. მიღებული შედეგები წარმოადგენს აუცილებელ ინფორმაციას საძოვრების სამომავლო მენეჯმენტის გეგმის შედგენისათვის;
- კავკასიის რეგიონული გარემოსდაცითი ცენტრის (REC Caucasus) მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში „გაუდაბნობასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის კონვენციის სტრატეგიასთან და ეროვნული მოხსენების კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა“, გის-ლაბის მიერ გაკეთდა ნიადაგის ეროზიის მოდელირება RUSLE-ის და GIS-ის



გამოყენებით აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებისთვის. კვლევა ჩატარდა დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, სირნაღის, გორის, ქარელის და გარდაბანის მუნიციპალიტეტებისთვის.

- არასამთავრობო ორგანიზაცია გის-ლაბი (GIS-Lab) აქვს შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. ნიადაგების 1:200,000 მასშტაბის რუკა ვექტორულ ფორმატში
2. ნიადაგების 1:500,000 მასშტაბის რუკა ვექტორულ ფორმატში

- არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის“ (CENN) მიერ 2009 წელს განხორციელდა პროექტი “მიწების მდგრადი მართვა მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით სამხრეთ კავკასიის რეგიონში“. პროექტის მიზანი იყო სიღარიბის შემცირება და სურსათის უვნებლობის და ფერმერების შემოსავლების ამაღლება სამხრეთ კავკასიის რეგიონში, გაუდაბნობასთან ბრძოლის, სოფლის მეურნეობის აღორძინების გზით. პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომელიც ითვალისწინებდა ნიადაგის დეგრადაციის პროცესების მიზეზების დადგენასა და მისი გავითარების შემცირებას სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ტრანსსასაზღვრო ტერიტორიებზე, მდინარეების იორი-ალაზანი და ხრამი-დებედას აუზებში. პროექტის მიზანი ითვალისწინებდა ამ ტერიტორიებზე მიწის მდგრადი მართვის პოლიტიკის ხელშეწყობას და საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას. პროექტის ფარგლებში შეიქმნა აღნიშნული რეგიონების მიწის დეგრადაციის რუკა.
- არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო“-ს მიერ განხორციელებული პროექტის „დავასუფთაოთ საქართველოს“ ფარგლებში შექმნილი სტიქიური ნაგავსაყრელების მონაცემთა ბაზა.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2014 წლის ნოემბერში, ჩატარდა შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აღწერა მოსახლეობის აღწერასთან ერთად. 2015 წლის გაზაფხულზე დამატებით ჩატარდა იურიდიული პირების სასოფლო-სამეურნეო აღწერა. საბოლოოდ აღწერას დაექვემდებარა ქვეყანაში არსებული მეურნეობები - ყველა ის შინამეურნეობა და იურიდიული პირი, რომელსაც 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მიწა, ჰყავდა პირუტყვი, ფრინველი, ფუტკრის ოჯახი ან ჰქონდა მრავალწლოვანი ნარგავი (სასოფლო-სამეურნეო). აღნიშნული აღწერა დაფუძნებული იყო სოციალურ კვლევაზე და მისი ხარისხი დამოკიდებულია რესპოდენტის



კეთილსინდისიერებაზე.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო პროექტი „უძრავი ქონების საკუთრების რეგისტრაცია“ - პროექტის დასრულების შემდეგ მიწის მართვის სისტემა მოიცავს სრულ ინფორმაციას საქართველოში თითოეული ნაკვეთის მფლობელობის შესახებ. აღნიშნული პროექტი უნდა დასრულდეს 2018 წელს და დარეგისტრირებული ნაკვეთები იქნას საკადასტრო რუკაზე დატანილი.
- 2000-2007 წლებში KFW ბანკების ჯგუფის (გერმანია) და საქართველოს მთავრობის ერთობლივი თანადაფინანსებით ჩატარდა კადასტრის და მიწის რეგისტრაციის პროექტი მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამჟამად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს ამ მონაცემების თანამედროვე ელექტრონულ სისტემაში დამუშავებას და შეყვანას - აღნიშნული ინფორმაცია ყველაზე მნიშვნელოვანია მონაცემთა ბაზისთვის.
- საინფორმაციო ბაზის შესაქმნელად აუცილებელია გამოყენებულ იქნას ასევე ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის და სხვა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში არსებული მასალები ნიადაგებზე; უნდა მოხდეს ძველი მასალების მოძიება სხვადასხვა უწყებასა თუ კერძო პირს შორის. მიწის მონაცემთა საინფორმაციო ბაზის შექმნისთვის საჭიროა მუნიციპალიტეტის მიწებზე (სადოვრები, სახნავი, სათიბი და კერძო ნაკვეთები) ინფორმაციის სისტემატიზაცია მიწის დანიშნულებისა და თვისობრივი ხარისხის მონაცემების მიხედვით და სხვ.

ხელმისაწვდომობის სირთულეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ რომელიმე უწყებისა თუ ორგანიზაციის კვლევის ანგარიშების წაკითხვისთვის საჭირო ხდება მათი ვებ-გვერდის მოძიება და შემდეგ, ამ ანგარიშის იქ მონახვა.

აღნიშნული ორგანიზაციები თუ უწყებები, გარდა ნიადაგებისა, მუშაობენ სხვა საკითხებზეც. შესაბამისად, ინფორმაციის მოძიებელს უწევს ყველა ნამუშევარი საკითხებიდან ნიადაგებზე არსებული მასალების მოძიება და შემდგომი წაკითხვა.

ამ პროცედურული სირთულის აღმოსაფხვრელად საჭიროა ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ნიადაგებთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავს და სადაც განთავსდება ყველა უწყების მასალები.

ბაზა იქნება ერთიანი და ყველა უწყება ორგანიზაცია თუ კერძო პირი დაინტერესებული იქნება, რომ მისი კვლევის შედეგები განთავსდეს ამ ერთიან სისტემაში.

ბაზა, ყველა სიკეთესთან ერთად, ქვეყანას ნათლად დაანახებს თუ რა ინფორმაციული



ხარვეზების აღმოფხვრაა საჭირო და რა ქმედებები უნდა განახორციელოს სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად. ასევე, ბაზა დაგვეხმარება სამომავლოდ მიწის რესურსის დაგეგმვის, მონიტორინგის, მდგრადი მიწათმოქმედების დანერგვისა და გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესებაში.

7. მიწათმოსარგებლების ცნობიერების დონის ამაღლების საჭიროება

გაუდაზნოების პროცესის შერბილებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მიწის სწორ დამუშავებას. უნდა მოხდეს მიწის მოხვნის სწორი მეთოდების დანერგვა, ნიადაგის ფიზიკური დამუშავება ნაცვლად შხამ-ქიმიკატებისა, მცენარეული კულტურების სწორი შერჩევა, ასევე, მიწათმოქმედების ისეთი მავნე ტრადიციების აღკვეთა, როგორებიცაა, მაგალითად, ყანის ნაწვერალის დაწვა, ხელოვნური მულჩირება და ა.შ. მთავარ პრობლემას კი წარმოადგენს მიწათსარგებლობის სწორი მეთოდების დანერგვა მიწათმოსარგებლებში. აღნიშნულის განსახორციელებლად მიზანშეწონილია მიწათმოსარგებლების ცნობიერების ამაღლება და მათში ნიადაგის დაცვის მდგრადი პრინციპების გავრცელება.

გარდა კლიმატის ცვლილებებისა, გაუდაზნოების პროცესს ხელს უწყობს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნაც. მოხსნილი მიწის გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებისთვის (სათბურები, სასაფლაოები, ყვავილის ქოთნები, გაზონები...), რაც აკრძალულია საქართველოს კანონით „ნიადაგის დაცვის შესახებ“, თუმცა პრაქტიკაში მაინც ხორციელდება. ამ შემთხვევაში, მოხსნის ცნობიერების ამაღლებასთან ერთად აუცილებელია კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტური გატარებაც, თუმცა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ყველაზე ეფექტური იარაღია.

უარყოფითი პროცესების შერბილებისთვის საჭიროა მოსახლეობაში ბიოფერმერობის თანამედროვე მიდგომებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი პრინციპების დანერგვა. ასევე, სასურველია ბიოჰუმუსის მიღების მეთოდის დანერგვა. ამასთანავე, ბიოჰუმუსის მასშტაბური და ეფექტური მიღება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის სამაგალითო პროგრამით და მათი გადამზადებით, შესაძლებელია აღნიშნულთან დაკავშირებით ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა, რომლებიც ამ კუთხით ახორციელებენ წლების განმავლობაში პროექტებს და გააჩნიათ დიდი გამოცდილება ინდივიდუალურ ფერმერებთან მუშაობის.

იმისთვის, რომ მოხდეს ნიადაგმცოდნეობის დარგის განვითარება, მნიშვნელოვანია ახალი საერთაშორისო ტექნოლოგიების გაცნობა და მიწათსარგებლობის თანამედროვე მეთოდების დანერგვა საქართველოში სოფლის მეურნეობის სამინისტროს



საინფორმაციო ცენტრების, არასამთავრობო სექტორის, ადგილობრივი თვითმმართველობის და მუნიციპალიტეტის მიერ.

იმისათვის, რომ აღიკვეთოს მიწის გამოყენებისადმი ტექნოკრატული მიდგომები, საჭიროა ამაღლდეს მიწის რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით მიწათმოსარგებლეების ცნობიერება, რაც უნდა განხორციელდეს სემინარების, საჯარო დისკუსიების, საინფორმაციო ჟურნალების, მასმედიის მეშვეობით, ასევე, შესრულდეს სანიმუშო (პილოტ) პროგრამები თვალსაჩინოებისათვის. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო სექტორის, ბიზნეს-სექტორის, სათემო გაერთიანებების ჩართულობა.

8. დასკვა და რეკომენდაციები

ნიადაგის თვისობრივი ხარისხის შეუსწავლელობა, ნიადაგის დეგრადაცია, რესურსების ეფექტური მართვის პრაქტიკის არქონა, შესაბამისი ინფორმაციისა და ტექნოლოგიების შეზღუდული ხელმისაწვდომობა, სუსტი ინსტიტუციონალური კავშირი სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის (რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს ნაკლებად ეფექტიანს ხდის) – ის ძირითადი პრობლემებია, რომლებიც ამ სფეროში გვხვდება. ამ პრობლემების მოგვარებისა და ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია რიგი ღონისძიებების გატარება, მათ შორის, მიწის რესურსის საერთო მდგომარეობის შესწავლა (ინვენტარიზაცია), მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სივრცის დაგეგმვა, სარეაბილიტაციო ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებებისა, პროგრამების შესრულება და საკანონმდებლო ბაზის დახვეწა.

9. გამოყენებული ლიტერატურა

1. „გაეროს კონვენცია გაუდაზნობასთან ბრძოლის შესახებ“, 1994;
2. „გაეროს კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“, 1994;
3. „გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენცია“, 1994;
4. საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“, 1994;
5. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 დეკემბრის N742 დადგენილება „გაუდაზნობასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა“, 2014;
6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 25 ნოემბრის N2-277 ბრძანება „ნიადაგის ეროზიისგან დაცვის კომპლექსური ღონისძიებათა რეკომენდაციის დამტკიცების შესახებ“, 2005;
7. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 22 აგვისტოს N493 ბრძანებულება „ნიადაგის საფარის ეროზიისგან დაცვის პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ“, 1998;
8. საქართველოს მთავრობის დადგენილება №31 2014 წლის 3 იანვარი ქ. თბილისი ტექნიკური რეგლამენტის – „ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავების ექსპლუატაციის წესების შესახებ“
9. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-51 2012 წლის 27 მარტი ქ. თბილისი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ (სათაური 20.02.2015 N2-43);
10. საქართველოს მთავრობის დადგენილება №485 2012 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ;
11. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სტრატეგიული გეგმა 2015-2017;



12. საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე თბილისი, 2003 წლის 8 მაისი. №2260-III.